ადრესატი:

გიორგი ტყემალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**03-032405035**
თარიღი: **19/02/2024**

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ინიცირების წესით, წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს შესაბამის განმარტებით ბარათთან ერთად.

გთხოვთ, წარმოდგენილ პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა და უზრუნველყოთ საკითხის უახლოეს სხდომაზე განხილვა.

პატივისცემით,

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №---

2024 წლის **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, **„დისკრიმანციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და** „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი“ ამ დადგენილების დანართის შესაბამისად (დანართი №1).

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში (შემდგომში - „მუნიციპალიტეტის ორგანოები“) სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი (შემდგომში - „მექანიზმი“), არეგულირებს მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხებსა და პროცედურებს.

მუხლი 2. მიზნები

სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მიზნებია:

ა) მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;
ბ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში ეფექტიანი რეაგირების განხორციელება;
გ) სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მხარდაჭერა და დაცვა;
დ) სექსუალური შევიწროების ჩამდენი პირის (შემდგომში - „შემავიწროებელი“) მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება;
ე) სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

მექანიზმი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) **სამართლიანობა და მიუკერძოებლობა** – სექსუალური შევიწროების საქმეები განიხილება თანასწორ და სამართლიან გარემოში, ობიექტურად და მიუკერძოებლად, მტკიცებულებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად;

ბ) **კონფიდენციალურობა** – მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელი, საკრებულოს წევრი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება;

გ) **კეთილსინდისიერება** – მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომელი ვალდებულია გამოიჩინოს პატივისცემა წინამდებარე მექანიზმის მიმართ და ბოროტად არ ისარგებლოს მისი დებულებებით, ცრუ და არაკეთილსინდისიერი ბრალდებების წარდგენის გზით;

დ) **ვიქტიმიზაციის აკრძალვა** – დაუშვებელია პირისათავის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო.

მუხლი 4. მექანიზმის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე რეგულაცია ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების ყველა თანამშრომელზე, განურჩევლად თანამდებობრივი რანგისა და შრომითი ურთიერთობის ფორმისა, მათ შორის საკრებულოს წევრებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, პროფესიულ საჯარო მოხელეებსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე (შემდგომში - „მოსამსახურე“).
2. წინამდებარე რეგულაცია ვრცელდება როგორც სამუშაო ადგილზე, ასევე სამუშაო ადგილის გარეთ არსებულ სივრცეებზე, რომელიც გამოიყენება მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მიზნებისთვის, მათ შორის, ცენტრალური ოფისები და შენობის გარეთ სივრცეები - შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები, კონფერენციები, ადგილი, სადაც დასაქმებული სარგებლობს შესვენებით ან საკვებით, იყენებს ჰიგიენისა და დასაბან საშუალებებს და გამოსაცვლელ ოთახებს, სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობები და კომუნიკაციები, მათ შორის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროს.
3. აღნიშნული რეგულაციის მიზნებისათვის სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მოსამსახურემ.
4. ამ მექანიზმის მიზნებისთვის, სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, შესაძლოა იყოს მუნიციპალიტეტის ორგანოების მოსამსახურე ან სხვა ნებისმიერი პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება მუნიციპალიტეტის მოსამსახურემ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას განახორციელა.

თავი II

სექსუალური შევიწროების ცნება, ფორმები და ინდიკატორები

მუხლი 5. სექსუალური შევიწროების ცნება და სახეები

1. სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

2. სექსუალური შევიწროების სახეებია:

ა) **მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo):** პირდაპირი ან ირიბი ფორმით ნებისმიერი სახის სექსუალური ქცევის სანაცვლოდ მსხვერპლისათვის შრომითი ურთიერთობის პირობებთან დაკავშირებული სარგებლის მიღების შეთავაზება ან/და მინიშნება, რომ ის ვერ მიიღებს სარგებელს (მაგ., ჩამოქვეითდება, გათავისუფლდება და სხვა), თუ არ განახორციელებს შემავიწროებლისთვის სასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას;

ბ) **მტრული სამუშაო გარემო:** სექსუალური შევიწროებით სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი, მტრული ან/და დამამცირებელი პირობების შექმნა.

მუხლი 6. სექსუალური შევიწროების ფორმები

1. სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმებით:

ა) სიტყვიერი ფორმით
ა.ა) სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა;
ა.ბ.) სექსუალური ხასიათის შეძახილები;
ა.გ) სექსუალური ხასიათის კომენტარი/შეკითხვა ადამიანის გარეგნობის, ჩაცმულობის, კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ ან პირადი ცხოვრების შესახებ;
ა.დ) კომენტარი ადამიანის სექსუალობის შესახებ;
ა.ე) სექსუალური ხასიათის სახელების დაძახება.

ბ) არასიტყვიერი ფორმით
ბ.ა.) სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ჩვენება, მისი გაგზავნა ინტერნეტით, მობილური ტელეფონით ან/და სხვა ტექნიკური საშუალებით;
ბ.ბ.) სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის ჩვენება.
ბ.გ) სექსუალური შინაარსის ტექსტის ჩვენება. სექსუალური შინაარსის ტექსტის/შეტყობინების გაგზავნა ინტერნეტით, მობილური ტელეფონით ან/და სხვა ტექნიკური საშუალებით;

გ) ფიზიკური ფორმით
გ.ა) სახეზე ან სხეულზე (მაგალითად, თმაზე, წელზე და ა.შ.) შეხება;
გ.ბ) კოცნა ან/და მოფერება;
გ.გ) ჩქმეტა
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შეიძლება მოიცავდეს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქცევას, რომელიც არასასურველია და მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან/და შეურაცხმყოფელ გარემოს.

მუხლი 7. სექსუალური შევიწროების ინდიკატორები

1. ქმედების სექსუალურ შევიწროებად აღქმისთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მათ შორის, შემდეგი ინდიკატორები:

ა) ქმედების ხასიათი;
ბ) მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;
გ) ქმედების ინტენსივობა;

დ) ქმედების განმეორებადობა;
ე) შემავიწროებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მსხვერპლზე გავლენა;
ვ) მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;
ზ) შემავიწროებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, მათ შორის, სამსახურეობრივი იერარქია.

2. ჩამოთვლილი ინდიკატორები არ არის ამომწურავი და, ერთი ინდიკატორის არსებობაც შესაძლოა საკმარისი იყოს სექსუალური შევიწროების დასადასტურებლად.

თავი III

საჩივრის წარდგენისა და წარმოების დაწყების წესი

მუხლი 8. საჩივრის წარდგენა

1. პირმა, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა შეატყობინოს, რომ მისი ქცევა არის არასასურველი და მიუღებელი. ასევე, სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს როგორც სავარაუდო შემავიწროებელს, ისე თავის უშუალო ხელმძღვანელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
2. სავარაუდო მსხვერპლმა, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შესაძლოა, თავი შეიკავოს აღნიშნული ფაქტის შესახებ სავარაუდო შემავიწროებლის ინფორმირებისგან. მსხვერპლის მიერ სავარაუდო შემავიწროებლის ინფორმირება არ წარმოადგენს სავარაუდო მსხვერპლის ვალდებულებას.
3. სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს (შემდგომში - „საბჭოს წევრი“) ან საჩივრით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან მერიის კომისიას ან/და კომისიის რომელიმე წევრს.
4. სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს წარადგენს ზეპირი ან წერილობითი (ელექტრონული ან მატერიალური) ფორმით, ამ მექანიზმის დანართის შესაბამისად (იხ. დანართი №1).
5. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მსხვერპლისთვის უფრო კომფორტულია, რომ შეტყობინება მოახდინოს ვერბალური ან სხვა ფორმით, საჩივრის მიღებაზე პასუხისმგებელი საბჭოს წევრი, შეავსებს საჩივრის ფორმას იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც სავარაუდო მსხვერპლი წარუდგენს და გადასცემს მას შევსებული ფორმის ასლს. სავარაუდო მსხვერპლი ხელმოწერით ადასტურებს საჩივრის მიღებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს.
6. სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლმა საჩივარში უნდა მიუთითოს მისთვის ცნობილი ინფორმაცია, როგორიცაა: სავარაუდო სექსუალური შევიწროების განმახორციელებელი პირის სახელი და გვარი, დაკავებული თანამდებობა, ინფორმაცია მათი სამსახურეობრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ, სექსუალური შევიწროების ფაქტი (ფაქტები). არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია საჩივარს თან დაურთოს მტკიცებულებები (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას

ფლობდნენ) ან წარადგინოს აღნიშნული მტკიცებულებები საქმისწარმოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

7. აღნიშნული რეგულაციით განსაზღვრული საჩივრის პროცედურის გამოყენებამდე, მისი გამოყენებისას ან გამოყენების შემდეგ, სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლი არც ერთ ეტაპზე არ არის შეზღუდული, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველს ან/და შრომის ინსპექციის სამსახურს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. წარმოების დაწყება

1. საბჭოს წევრისათვის სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, საჩივრის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი დაუყოვნებლივ აღრიცხავს ინციდენტ(ებ)ის თარიღს, დროსა და ფაქტობრივ გარემოებებს და მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან მერიის კომისიას სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლის თაობაზე.
2. სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის ან საბჭოს წევრის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან მერიის კომისიისთვის ან კომისიის რომელიმე წევრისთვის საჩივრის წარდგენის შემდეგ, კომისია სავარაუდო სექსუალური შევიწროების შესწავლის მიზნით იწყებს წარმოებას.
3. კომისია უფლებამოსილია სავარაუდო მსხვერპლის ინტერესების დაცვისა და სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საჭიროებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მხარის თანხმობით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ერთ-ერთ მხარეს, საკრებულოს წევრისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის გარდა, შეუცვალოს სამუშაო ფუნქციები ან/და სამუშაო სივრცე ან გამოიყენოს სხვა დროებითი ღონისძიება, მათ შორის, შესთავაზოს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა.

თავი IV

სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი სუბიექტი მუნიციპალიტეტის ორგანოებში

მუხლი 10. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი სუბიექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე საქმის წარმოებას ახორციელებს საბჭოს სამი წევრისგან შემდგარი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საბჭოს თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატის თანამშრომელი და საკრებულოს წევრი.
2. კომისიის წევრთა ვინაობა, რომელთაგან ორი მათგანი მაინც უნდა იყოს ქალი, განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.
3. კომისიას თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საქმის განმხილველ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი/კურსი სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეგულირების მექანიზმის შესახებ.

მუხლი 11. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი სუბიექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე საქმის წარმოებას ახორციელებს კომისია, რომელიც შედგება სამი წევრისგან.
2. კომისიის წევრთა, მათ შორის კომისიის თავმჯდომარის ვინაობა განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, რომლის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი.
3. კომისიის წევრთა შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ როგორც მერიის ცენტრალური აპარატის თანამშრომლები, ისე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირები და რაიონული გამგეობის წარმომადგენლები, რომელთაგან ორი მათგანი მაინც უნდა იყოს ქალი.
4. საქმის განმხილველ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი/კურსი სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეგულირების მექანიზმის შესახებ.

მუხლი 12. კომისიის წევრის აცილება

1. თუ საქმის განმხილველი რომელიმე პირი სავარაუდო შემავიწროებელია, კომისიის წევრად შეირჩევა იმავე ერთეულის/სამსახურის სხვა მოსამსახურე.
2. სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი, უფლებამოსილია, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ან ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, მოითხოვოს საქმის განმხილველი მოსამსახურის სხვა მოსამსახურით ჩანაცვლება.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და საქმის განმხილველი სხვა მოსამსახურის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.
4. იმ შემთხვევაში, თუ განიხილება კომისიის თავმჯდომარის აცილების საკითხი, გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე ან მერი, შესაბამისად.
5. აცილების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სხვა პირის საქმეში ჩართვა უნდა მოხდეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
6. დაუშვებელია აცილების მექანიზმის დროის გაჭიანურების მიზნით გამოყენება.

თავი V

საჩივრის განხილვის პროცედურა და წარმოების წესი

მუხლი 13. სექსუალური შევიწროების საქმის განხილვის პროცედურა და საქმის განმხილველი კომისიის უფლება-მოვალეობები

1. კომისია საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უზრუნველყოფს სავარაუდო შემავიწროებლის წერილობით ინფორმირებას საჩივრის მიღების თაობაზე.
2. კომისია სავარაუდო შემავიწროებელს განუსაზღვრავს წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 3 სამუშაო დღეზე ნაკლები.
3. კომისია მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით, უფლებამოსილია:

ა) გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი;
ბ) გამოკითხოს სავარაუდო შემავიწროებელი;
გ) გამოკითხოს მესამე პირები, ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
დ) მოიძიოს და გამოიკვლიოს საქმეში არსებული ნებისმიერი მტკიცებულება;
ე) გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, მოამზადოს დასკვნა სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;
ვ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, შემავიწროებლის მიმართ განსაზღვროს პროპორციული და თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

4. კომისია ვალდებულია მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიების თაობაზე და აუხსნას ვის ექნება წვდომა მის საქმესთან.
5. ობიექტური გარემოებების არსებობისას, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, კომისია უფლებამოსილია სავარაუდო მსხვერპლსა და შემავიწროებელს გაესაუბროს მათთვის სასურველ ადგილას, რომელიც შესაძლოა იყოს მუნიციპალიტეტის ორგანოების ადმინისტრაციული შენობის გარეთ არსებული ტერიტორია.
6. სავარაუდო მსხვერპლის წარსული ან ამჟამინდელი სექსუალური/პირადი ცხოვრება, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას, არ არის რელევანტური საქმის განხილვისას და არგუმენტები, ფაქტები ან ინფორმაცია ამის თაობაზე განუხილველი უნდა დარჩეს.
7. სექსუალური შევიწროების საქმის შემსწავლელი კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1-ლი ნოემბრის №26-80 დადგენილებისა და ამ მექანიზმის შესაბამისად.

მუხლ 14. კონფიდენციალურობა

1. საქმის შესწავლის პროცესში ჩართული თუ საქმესთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირი, მხარეების გარდა, ვალდებულია, არ გაასაჯაროვოს/გაახმაუროს საქმის შესწავლის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, გამოკვლეული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილება.
2. სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაციასა და მასალებზე წვდომა უნდა ჰქონდეთ მინიმალურ პირთა წრეს, ისე რომ აღნიშნულმა ხელი არ შეუშალოს საქმის გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევას.
3. სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებული საქმის წარმოების ნებისმიერი მასალის მომზადების/გაგზავნის/შესრულების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი საშუალება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ინფორმაციასთან შემხებლობაში მყოფ პირთა წრის შემცირებას.

თავი VI

საჩივრის განხილვის ვადები და დასკვნის მომზადება

მუხლი 15. საჩივრის განხილვის ვადა

1. სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი კომისია გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 1 თვის ვადაში.
2. თუ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, 1 თვიანი ვადის გასვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე, კომისიის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას იღებს წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს 2 თვით გაგრძელების თაობაზე. საჩივრის განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

მუხლი 16. დასკვნის მომზადება

1. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი კომისია ამზადებს დასკვნას სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების ან დაუდასტურებლობის შესახებ.
2. კომისიის დასკვნა ფორმდება წერილობით, რომელიც წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს/მუნიციპალიტეტის მერს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/მუნიციპალიტეტის მერი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დასკვნით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ან უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე;
ბ) არასაკმარისი სამართლებრივი და ფაქტობრივი დასაბუთების მოტივით, დასკვნის კომისიისათვის დაბრუნების თაობაზე, მისი ხელახალი შესწავლის მიზნით;
გ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხევაში, დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

4. კომისიის დასკვნის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/მუნიციპალიტეტის მერი გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/მუნიციპალიტეტის მერი დასკვნას განიხილავს და შესაბამის აქტს გამოსცემს დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.
6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის/მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი აქტი ეგზავნება მხოლოდ მხარეებს.

თავი VII

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

მუხლი 17. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა

1. მუნიციპალიტეტის ორგანოს მოსამსახურის მიმართ, საკრებულოს წევრისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის გარდა, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დგინდება კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/მუნიციპალიტეტის მერი მისთვის დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) სამსახურებრივი სარგოს 10%-დან 50%-მდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

დ) სამსახურიდან გათავისუფლება

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეზე, ხარისხზე, მსხვერპლისათვის მიყენებულ ზიანზე, განმეორებადობაზე და ა.შ.
3. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა სექსუალურ შევიწროებას ფიზიკური ფორმით, დაუშვებელია შემავიწროებლის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.
4. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების ჩამდენისთვის დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.
5. სექსუალური შევიწროების ჩამდენის მიმართ, დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში, არ გამოიყენება წახალისების ღონისძიებები.
6. შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი სახე.
7. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება საკრებულოს წევრის ან პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა, კომისია უფლებამოსილია მას სარეკომენდაციო ბარათით მიმართოს.

8. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდება იმ საკრებულოს წევრის ან პოლიტიკური თანამდებობის პირის სახელი და გვარი, რომლის მიმართაც დადგინდა სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა, აგრეთვე შემთხვევის მოკლე აღწერა, მსხვერპლის იდენტიფიკაციის გარეშე.
9. თუ კომისია დაადგენს, რომ საკრებულოს წევრს ან პოლიტიკური თანამდებობის პირს სექსუალური შევიწროება არ ჩაუდენია, მისი სახელი და გვარი, აგრეთვე შემთხვევის მოკლე აღწერა, განმცხადებლის იდენტიფიკაციის გარეშე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდება მხოლოდ აღნიშნული საკრებულოს წევრის/პოლიტიკური თანამდებობის პირის თანხმობის შემთხვევაში, ხოლო განმცხადებელს ეცნობება კომისიის გადაწყვეტილების თაობაზე.

თავი VIII

სექსუალური შევიწროების პრევენცია

მუხლი 18. სექსუალური შევიწროების პრევენციის საკითხებში მრჩევლის შერჩევა და მისი უფლება-მოვალეობები

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/მუნიციპალიტეტის მერი გენდერული თანასწორობის საკითხებში არსებული სპეციალისტებისგან შეარჩევს პირს/პირებს, რომელიც შეითავსებს სექსუალური შევიწროების პრევენციის საკითხებში მრჩევლის ფუნქციას (შემდგომში - „მრჩეველი“).

2. მრჩეველი შეირჩევა სექსუალური შევიწროების მიმართ მისი ცოდნისა და მგრძნობელობის გათვალისწინებით.

3. მრჩეველს გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი/კურსი სექსუალური შევიწროების საკითხების შესახებ. ასევე, მას უნდა ჰქონდეს სექსუალური შევიწროების საკითხებზე სათანადო ცოდნა.
4. მრჩევლის უფლება-მოვალეობებია:

ა) მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მოსამსახურეებისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შეთავაზება;

ბ) სექსუალური შევიწროების საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული ტრენინგების ჩატარების ორგანიზება და მათზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მოსამსახურეთა დასწრების უზრუნველყოფა;

გ) მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებული პირისათვის ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევა სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარება;

დ) სხვა ფუნქციების შესრულება, რაც სექსუალური შევიწროების პრევენციასა და სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება.

თავი IX

წინამდებარე რეგულაციის იმპლემენტაცია/დანერგვა

მუხლი 19. მუნიციპალიტეტის ორგანოების მოსამსახურეებისათვის მექანიზმის გაცნობა

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეებისათვის ამ რეგულაციის გაცნობის ვალდებულება ეკისრება საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილებას.
2. მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეებისათვის ამ რეგულაციის გაცნობის ვალდებულება ეკისრება მერიის ადმინისტრაციას.
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სამსახურის ხელმძღვანელები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ მათი დაქვემდებარებული მოსამსახურეების ინფორმირება აღნიშნული რეგულაციის შესახებ.

თავი X

მონიტორინგი და შეფასება

მუხლი 20. მონიტორინგი და შეფასება

1. სექსუალური შევიწროების დადგენის შემთხვევაში სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში უფლებამოსილია დააკვირდეს პროცესის შემდგომ განვითარებას, რათა დარწმუნდეს, რომ პრობლემა აღმოიფხვრა.
2. საბჭო ვალდებულია აწარმოოს სტატისტიკა და შესაბამის სამსახურებთან/სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით მოამზადოს ყოველწლიური ანგარიში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის შესრულების, ინციდენტების რაოდენობისა და დამდგარი შედეგების, ასევე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობების თაობაზე.
3. ანგარიში წარედგინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
4. აღნიშნული ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს არსებული რეგულაციის გადახედვასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.

თავი XI

სხვა დებულებები

მუხლი 21. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და მექანიზმის ურთიერთმიმართება

სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლისას, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის რეგულირებული ამ მექანიზმით, გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1-ლი ნოემბრის №26-80 დადგენილებითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი დებულებები.

მექანიზმის დანართი N1

სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის ფორმა

I. ინსტრუქცია:

- თუ მიგაჩნიათ, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდით, გთხოვთ, შეავსოთ ეს ფორმა და წარადგინოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან მერიის კომისიასთან ან/და კომისიის რომელიმეს წევრთან.
- **საჩივრის შეტანას თქვენ წინააღმდეგ უარყოფითი შედეგი არ მოჰყვება.**
- თუ თქვენთვის უფრო მოსახერხებელია ინფორმაციის სიტყვიერად ან სხვაგვარად მიწოდება, შეგიძლიათ მიმართოთ საჩივრის მიღებაზე პასუხისმგებელ პირს - საბჭოს წევრს, რომელიც ამ ფორმას თავად შეავსებს და გადმოგცემთ მის ასლს.

II. ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლის/განმცხადებლის შესახებ:

სახელი და გვარი:
სამუშაო ადგილი:
თანამდებობა:
მობილურის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული ფოსტა:
გთხოვთ, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი კომუნიკაციის მეთოდი:

- ელექტრონული ფოსტა;
- მობილური ტელეფონი;
- პირისპირ კომუნიკაცია.

III. ინფორმაცია სავარაუდო შემავიწროებლის შესახებ:

სახელი და გვარი:
თანამდებობა:
მობილურის ტელეფონის ნომერი (არასავალდებულო):
სამუშაო ადგილი:
სამსახურებრივი კავშირი:

- o უშუალო ხელმძღვანელი/სამსახურებრივად ზემდგომი პირი;
- o თანამშრომელი;
- o თქვენდამი დაქვემდებარებული პირი;
- o საკრებულო წევრი;
- o პოლიტიკური თანამდებობის პირი;
- o სხვა პირი.

IV. ინფორმაცია საჩივრის/განცხადების შესახებ:

1. გთხოვთ, აღწეროთ, რა მოხდა და როგორ გავლენას ახდენს ეს ინციდენტი თქვენზე და თქვენს საქმიანობაზე.

*საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოიყენოთ დამატებითი ფურცლები და დაურთოთ ნებისმიერი სათანადო დოკუმენტი ან მტკიცებულება.

2. სექსუალური შევიწროების ფაქტის (ფაქტების) თარიღი (თარიღები), დრო და ადგილი (ადგილები):

ამჟამად გრძელდება თუ არა სექსუალური შევიწროება?

- o დიახ;
- o არა.

3. გთხოვთ, მიუთითოთ იმ პირთა სახელები და გვარები, ასევე საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ ინფორმაციას სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის (ფაქტების) შესახებ.

* ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა სავალდებულო არ არის, თუმცა შესაძლოა ხელი შეუწყოს ფაქტების დადგენას.

4. წარგიდგენიათ თუ არა მანამდე საჩივარი/განცხადება ან მიგიწოდებიათ თუ არა ინფორმაცია (სიტყვიერად ან წერილობით) მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით? დადებით შემთხვევაში, როდის და ვის წარუდგინეთ საჩივარი/განცხადება ან მიაწოდეთ ინფორმაცია?

5. დაგჭირდათ თუ არა სამედიცინო/ფსიქოლოგიური/სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტაცია ან დახმარება?

6. საჩივრის განხილვის დასრულებამდე გესაჭიროებათ თუ არა დროებით სამუშაო სივრცის შეცვლა (სხვა სამუშაო ოთახში ან სხვა სამსახურში გადაყვანა ან დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა).

დამატებითი ინფორმაცია:

განცხადების ბოლოს დაადასტურეთ შემდეგი:

,,თანახმა ვარ, ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს განცხადების შესწავლის მიზნებისთვის''.

ხელმოწერა: თარიღი:

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს ავსებს საჩივრის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი, სავარაუდო მსხვერპლმა/განმცხადებელმა ინფორმაციის სისწორე უნდა დაადასტუროს ხელმოწერით, ასევე თანხმობა განაცხადოს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე განცხადების შესწავლის მიზნებისთვის.

,,თანახმა ვარ, ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს განცხადების შესწავლის მიზნებისთვის.

გავეცანი, ვეთანხმები და ვაწერ ხელს''.

ხელმოწერა: თარიღი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანია ხელი შეუწყოს პირთა თანასწორუფლებიანობის დაცვასა და დისკრიმინაციული შემთხვევების თავიდან აცილებას, რაც გაზრდის სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლის ეფექტიანობას. კერძოდ, პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმის ხელშეწყობა, სექსუალური შევიწროების ფაქტებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების განხორციელება და შემავიწროებლისთვის პროპორციული, ადეკვატური და სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრება.

სექსუალური შევიწროება არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე დაფარული ფორმა, რაც ქალებს აყენებს კაცებთან შედარებით დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, ლახავს მათ ღირსებას, ხელს უშლის მათი პოტენციალის სრულ განვითარებასა და შრომითი ურთიერთობების შენარჩუნებას.

2022 წლის კვლევის თანახმად, საქართველოში ქალების 24.5%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროება ცხოვრების მანძილზე.[1] ასევე, საქართველოს საჯარო სამსახურში სამუშაო ადგილზე, მათ შორის, მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროება ფართოდ გავრცელებული ფენომენია, რაც 2021 წელს ჩატარებული კვლევითაც დასტურდება, რომლიც მიხედვითაც საჯარო მოხელეთა ერთ მესამედს (34%) საჯარო სამსახურში მუშაობის განმავლობაში გამოუცდია სექსუალური შევიწროების რომელიმე ფორმა. ყველაზე ხშირად კი, სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ახალგაზრდა, 35 წლამდე ასაკის ქალები ხდებიან.[2]

ფართოდ გავრცელების მიუხედავად, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება, უმეტესად, შეუტყობინებელი რჩება, რადგან ბევრ მსხვერპლ ეშინია ან არ სურს ხმის ამოღება, ან ზუსტად არ იცის, როგორ გააკეთოს ეს. როდესაც მსხვერპლი გადაწყვეტს სამუშაო ადგილზე ოფიციალური საჩივრის წარდგენას, ხშირად მათ არაეფექტიანი გასაჩივრების სისტემა ან პროცედურები ხვდებათ.

[1] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში - 2022, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2023, 161, იხ. http://tinyurl.com/5emv4jpu [18.02.2024].

[2] სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში, კვლევის ანგარიში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2021, 8, 26, იხ. http://tinyurl.com/yueek349 [18.02.2024].

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

1994 წელს საქართველო შეუერთდა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" გაეროს კონვენციას, ხოლო 1995 წელს პეკინის კონფერენციაზე საქართველო, სხვა ქვეყნებთან ერთად, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე შეთანხმდა. CEDAW კომიტეტის მიერ 1992 წელს მიღებული მე-19 ზოგადი რეკომენდაცია დასაქმების ადგილზე სექსუალურ შევიწროების აკრძალვაზე ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს, რომ დასაქმების სფეროში მნიშვნელოვნად იზღუდება თანასწორობა, როდესაც ქალი ხდება გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის სექსუალური შევიწროების, მსხვერპლი. ამგვარი მიდგომა დამამცირებელია და შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები.[3] 2017 წელს საქართველომ მოახდინა „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფირება და გაატარა საკანონმდებლო რეფორმები, საქართველოს კანონმდებლობის აღნიშნულ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ქვეყანამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და ჩვიდმეტივე მიზნის ნაციონალიზაცია მოახდინა, მათ შორის მეხუთე მიზნისა, რომელიც გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ქალებისა და გოგოების გაძლიერებას ეხება, განსაკუთრებით ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას საჯარო თუ კერძო სივრცეში.

საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ სახელმწიფოს, ევროპული საბჭო მოუწოდებს, კიდევ მეტად დაუახლოვდეს ევროკავშირის სამართლის სისტემას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დაწესებულება ვალდებულია სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, ხოლო მისი დადასტურების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად. ნებისმიერი დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების ამკრძალავის დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.[4] ამდენად, სექსუალურ შევიწროებაზე,

[3] General recommendation No. 19: Violence against women, Comments on specific articles of the Convention, Article 11, §17-18, 1992.

[4] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი", მუხლი 23, პუნქტი 4.

როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმაზე ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია გამართული სამართლებრივი აქტისა და რეგულაციების შემუშავება, რომელიც ჩამოყალიბდება სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ვალდებულებაა, რომ დასაქმების ადგილზე შეიმუშაოს სექსუალური შევიწროების ამკრძალავი მარეგულირებელი ნორმები, რაც გულისხმობს ქმედითი შიდა მექანიზმების მიღებას, რომელიც ეფექტიანად განიხილავს საჩივრებს სექსუალური შევიწროების თაობაზე. უწყებაში/დაწესებულებაში ამგვარი მექანიზმის არსებობა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სექსუალური შევიწროების პრევენციას, ვინაიდან იგი დასაქმებულებისთვის იქნება გზავნილი, რომ სექსუალური შევიწროება მიუღებელია სამუშაო ადგილას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების განხორციელებას მომხდარ შემთხვევაზე, არსებობის შემთხვევაში. სექსუალური შევიწროების მიმართ შეუწყნარებლობა მხოლოდ მსხვერპლის დაცვის მექანიზმის არ არის, ის ასევე, დადებითად აისახება საჯარო დაწესებულების საქმიანობაზე და აყალიბებს თანასწორობაზე დამყარებულ ორგანიზაციულ/ინსტიტუციურ კულტურას.

ყველა საჯარო მოხელე, განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი მოსამსახურე, ვალდებულია, რომ პატივისცემით მოეპყრას თანამშრომლებს, იყოს ინფორმირებული სექსუალური შევიწროების ფენომენისა და ამგვარი ფაქტების მხილების შიდაუწყებრივი პროცედურების შესახებ და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს რეაგირება და მაღალი მგრძნობელობითა და კონფიცენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი კომუნიკაცია თუ ქმედება.[5]

სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტის მიღება და პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენება, საჯარო უწყებაში სექსუალური შევიწროების შემთხვევების შემცირებისა და თავიდან აცილებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. პრაქტიკაში დოკუმენტის ეფექტიანად გამოყენება გულისხმობს როგორც განჭვრეტადი და დეტალური რეგულაციების და პროცედურების არსებობას, ასევე, საქმის შესწავლის პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებას.

წარმოდგენილი დადგენილების დანართის №1-ის სახით დასამტკიცებელი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი“-ს** (შემდგომში - მექანიზმი) რეგულირების სფეროს წარმოადგენს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხები და

[5] საქართველოს მთავრობის 2017 წლის №17 დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 15.

პროცედურები.

მექანიზმის მოქმედება ვრცელდება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების ყველა თანამშრომელზე, განურჩევლად თანამდებობრივი რანგისა და შრომითი ურთიერთობის ფორმისა, მათ შორის საკრებულოს წევრებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, პროფესიულ საჯარო მოხელეებსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე (შემდგომში - „მოსამსახურე“).

აღნიშნული რეგულაციის მიზნებისათვის სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მოსამსახურემ, ხოლო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, შესაძლოა იყოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მოსამსახურე ან სხვა ნებისმიერი პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება მუნიციპალიტეტის მოსამსახურემ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას განახორციელა.

მექანიზმის მიზნებს წარმოადგენს:

ა) მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;

ბ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში ეფექტიანი რეაგირების განხორციელება;

გ) სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მხარდაჭერა და დაცვა;

დ) სექსუალური შევიწროების ჩამდენი პირის მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება;

ე) სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება.

მექანიზმის ძირითად პრინციპებად განისაზღვრება:

ა) **სამართლიანობა და მიუკერძოებლობა** – სექსუალური შევიწროების საქმეები განიხილება თანასწორ და სამართლიან გარემოში, ობიექტურად და მიუკერძოებლად, მტკიცებულებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად;

ბ) **კონფიდენციალობა** – მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელი, საკრებულოს წევრი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება;

გ) **კეთილსინდისიერება** – მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ვალდებულია გამოიჩინოს პატივისცემა წინამდებარე მექანიზმის მიმართ და ბოროტად არ ისარგებლოს მისი

დებულებებით, ცრუ და არაკეთილსინდისიერი ბრალდებების წარდგენის გზით;

დ) **ვიქტიმიზაციის აკრძალვა** – დაუშვებელია პირისათავის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო.

მექანიზმის შესაბამისად, „სექსუალური შევიწროების" ცნება განიმარტება შემდეგი სახით: სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

სექსუალური შევიწროების სახეებია:

ა) **მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo):** პირდაპირი ან ირიბი ფორმით ნებისმიერი სახის სექსუალური ქცევის სანაცვლოდ მსხვერპლისათვის შრომითი ურთიერთობის პირობებთან დაკავშირებული სარგებლის მიღების შეთავაზება ან/და მინიშნება, რომ ის ვერ მიიღებს სარგებელს (მაგ., ჩამოქვეითდება, გათავისუფლდება და სხვა), თუ არ განახორციელებს შემავიწროებლისთვის სასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას;

ბ) **მტრული სამუშაო გარემო:** სექსუალური შევიწროებით სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი, მტრული ან/და დამამცირებელი პირობების შექმნა.

ხოლო, სექსუალური შევიწროებად განსაზღვრულ იქნა შემდეგი ფორმები:

ა) **ფიზიკური** - არასასურველი შეხება (ფიზიკური კონტაქტი) ადამიანის სხეულის სხვადასხვა ადგილას (მაგ., მკერდზე, ფეხებზე და ა.შ.). ფიზიკური ფორმა შეიძლება მოიცავდეს კოცნას, ჩქმეტას, ჩახუტებას და ა.შ.;

ბ) **სიტყვიერი** - გამოიხატება სექსუალური შინაარსის ფრაზებით მიმართვაში. სიტყვიერია შეუფერებელი და სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი შენიშვნები, ხუმრობა და კომენტარები, შეკითხვები ადამიანის პირად ცხოვრებასთან ან ცხოვრების სტილთან დაკავშირებით, სექსუალური ხასიათის ქვეტექსტები, სექსუალურ-პროვოკაციული სლენგი და ა.შ.;

გ) **არასიტყვიერი** - სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის გამოყენებით ან კონკლუდენტური მოქმედებით განხორციელებულ ქმედება (მაგ., სექსუალური ხასიათის ფოტოების/ვიდეოების ჩვენება ან გაგზავნა, სექსუალური ხასიათის წერილის/შეტყობინების გაგზავნა, გენიტალიების

ჩვენება, სექსუალური აქტის იმიტაცია ჟესტებით და ა.შ.).[6]

სექსუალური შვიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმი წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელშიც თავმოყრილია სექსუალური შევიწროების ცნება და ფორმები, შეტყობინების გაკეთების, სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურები. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე საქმის წარმოებას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამი წევრისგან შემდგარი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საბჭოს თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატის თანამშრომელი და საკრებულოს წევრი, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე საქმის წარმოებას ახორციელებს კომისია, რომელიც შედგება სამი წევრისგან და რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება იყვნენ როგორც მერიის ცენტრალური აპარატის თანამშრომლები, ისე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირები და რაიონული გამგეობის წარმომადგენლები.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სექსუალური შევიწროების ჩადენა, შემავიწროებლის მიმართ გამოიყენება შესაბამისი სანქციები - გაფრთხილება, საყვედური, თანამდებობრივი სარგოს დაკავება ან სამსახურიდან გათავისუფლება. პასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია სექსუალური შვიწროების სიმძიმეზე, ხარისხზე, მსხვერპლისათვის მიყენებულ ზიანზე, განმეორებადობასა და სხვა გარემოებებზე. იმ შემთხვევაში, თუ სექსუალური შევიწროების ჩამდენი არის საკრებულოს წევრი ან პოლიტიკური თანამდებობის პირი, კომისიას უფლებამოსილება ექნება მას სარეკომენდაციო ბარათით მიმართოს.

ამდენად, აღნიშნული მექანიზის გამოყენებით სავარაუდო მსხვერპლს შეეძლება სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე საჩივრით მიმართოს მუნიციპალიტში არსებულ შესაბამის ორგანოს. მექანიზმს თან ახლავს (დანართი №1) სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის ფორმა, რომელიც სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლს გაუადვილებს სრულყოფილი და თანმიმდევრული საჩივრის მომზადებას.

სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმი ითვალისწინებს პრევენციის ღონისძიებებს, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის/მუნიციპალიტეტის მერის მიერ შერჩეული სპეციალისტი/მრჩეველი ახორციელებს. მექანიზმი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების შემთხვევების თავიდან აცილებას და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის საკითხებზე თანამშრომლების ინფორმირებულობას.

შიდა გასაჩივრების/რეგულირების მექანიზმი არის ცენტრალიზებული და ექვემდებარება

[6] ქცევა, რომელიც შეფასებულია სექსუალურ შევიწროებად შეგიძლიათ იხ. Sexual Harassment at Work, Fact Sheet, International Labour Office, 1, იხ. https://bit.ly/393HdiC; ასევე, იხ. What is Sexual Harassment?, UN, 1; https://bit.ly/36SAXax.

დაწესებულების ხელმძღვანელს, რაც მას უფრო მეტ სერიოზულობასა და მნიშვნელობას მატებს. იგი მორგებულია მუნიციპალიტეტის სტრუქტურაზე, კულტურასა და მუშაობის სპეციფიკაზე. მისი გამოყენების შედეგად, სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევა განიხილება წრაფად, ინფორმაცია ნაკლებად ხდება ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტს გარეთ, რაც ორგანიზაციის რეპუტაციის დაცვას უზრუნველყოფს.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

მექანიზმის მიღება არ გამოიწვევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო.

ე) დადგენილების პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თინათინ ნიბლოშვილი.